




ხაშურის მთაშუა



№7 (188)

18 თებერვალი, ორშაბათი,

2019 წელი

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა -

შეხვედრა სურამის მოსახლეობასთან

13 თებერვალს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, დაბა სურამში, მოსახლეობის საკონსულტაციო კრება გაიმართა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა სოფლის მხარდაჭერის პროგრამასა და მასში მოსახლეობის ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და სურამის მოსახლეობას ის მიმდინარე და დაგეგმილი პროექტებიც გააცნო, რაც დაბა სურამ-



მიჩნის დაბის ცენტრში სკვერის მოწესრიგების და იქ თანამედროვე და მოხერხებული დასასვენებელი სკამების განთავსების საკითხი, რაც ზაფხულობით გარდა ადგილობრივებისა, ჩამოსულ დამსვენებელსაც მეტ კომფორტს შეუქმნის. კრების მონაწილეებმა გადაწყვეტილება კენჭისყრაში მონაწილეობითაც დაადასტურეს.

სურამის მოსახლეობის კრებას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და მერიის წარმომადგენლები.

მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტი დასამტკიცებლად მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება და მთავრობის გადაწყვეტილებით, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციისა და



ში უახლოეს მომავალში განხორციელდება გარდა სოფლის მხარდაჭერით განსახორციელებელი მცირემასშტაბიანი პროექტისა. მოსახლეობის კრებაზე, სურამელმა მოქალაქეებმა პრიორიტეტად

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის აქტიური ჩართულობით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება.

ორი პროექტი, რომელთა დასრულების შემდეგ სურამის მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა მთლიანად მოეხსნება

2019 წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია მრავალ ინფრასტრუქტურულ პროექტს განახორციელებს. ამისთვის, როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ბიუჯეტიდან უკვე მობილიზებულია თანხები. დღეს ჩვენს მკითხველს ორ უმნიშვნელოვანეს პროექტს გავაცნობთ, რომელთა დასრულების შემდეგ, სურამის მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა მთლიანად მოეხსნება. ამ პროექტების შესახებ, გვესაუბრება მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე.

ობის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა. თუმცა, მაინც დარჩა ცალკეული უბნები, სადაც დღემდეა წყლის დეფიციტი. აღნიშნული ორი პროექტი მნიშვნელოვნად შეცვლის სურათს და ზაფხულის პერიოდშიც კი, როდესაც სურამს უამრავი დამსვენებელი სტუმრობს, სასმელი წყალი 24-საათიანი რეჟიმით მიეწოდება თითოეულ ოჯახს. პირველი პროექტი, რომლის ღირებულება მილიონნახევარ ლარზე მეტია, ბიჯნისის სათავე ნაგებობების და ქსელის სრულ რეაბილიტაციას ითვალისწინებს. პროექტი ხაშურის მუნიციპალიტეტის დაკვეთით შესრულდა და მისი განხორციელება უახლოეს პერიოდში დაიწყება. ამ სათავე-ნაგებობის დღევანდელი მდგომარეობა ვერავითარ კრიტიკას ვეღარ უძლებდა. წყალი გაუფილტრავად და თან წვეტილ რეჟიმში მიეწოდება მოსახლეობას, რომელთა ნაწილიც, მხოლოდ ტექნიკური დანიშნულებით თუ იყენებს ამ წყალს. ახალი პროექტით, მდინარე ბიჯნისულას ხევში, ახალი სათავე-ნაგებობა მოეწყობა ძველი ნაგებობის, ასე ვთქვათ ტანში, პორიზონტალური საღებავების სახით. აქედან წყალი გადავა ულტრაფილტრაციის კომპლექსის შენობაში, სადაც გაივლის საბოლოო გაწმენდის პროცესს. გაფილტრული წყალი, დეზინფექციის შემდეგ, გადაიქანება სუფთა წყლის რეზერვუარში და იქიდან მიეწოდება აბონენტებს.

- რამდენ ოჯახს უნდა მიეწოდოს ეს წყალი?



- ბატონო ზვიად, ჩვენს მკითხველს უკვე მივაწოდეთ ინფორმაცია, რომ სურამში ორი უმნიშვნელოვანესი პროექტი იწყება, რომელთა ჩამოური ღირებულება სამ მილიონ ლარამდეა და რომელთა განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება სურამის მოსახლეობისთვის. გთხოვთ, უფრო დაწვრილებით გვიამბოთ ამ პროექტის შესახებ...

- მოგესხენებათ, ამ რამდენიმე წლის წინ, სურამში განხორციელდა პროექტი, რომელმაც, გარკვეულწილად, გადაჭრა სურამის მოსახლე-

-დაახლოებით 400-500 ოჯახს. აქ გათვალისწინებული გვაქვს ზაფხულში მოსახლეობის ზრდა დამსვენებელთა ხარჯზე და ვფიქრობთ,

(დასასრული II გვერდზე)

(დასასრული)

საბოლოოდ, 3 ათასზე მეტი ბენეფიციარი იქნება სრულად დაკმაყოფილებული.

- საშუალოდ, რა რაოდენობის წყალია გაანგარიშებული თითოეულ ბენეფიციარზე?

- საშუალოდ, დღე-ღამეში, თითოეულ ბენეფიციარზე 230 ლიტრია გათვალისწინებული. ამას კი ვუმატებთ 140 ლიტრს გათვალისწინებული ხარჯებისთვის-პირუტყვისთვის თუ ეხოს მორწყვისთვის.

- როდის დაიწყება მშენებლობა?

- უკვე დასრულდა ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია-ესაა შპს "კავკასია". უახლოეს პერიოდში დაიდება ხელშეკრულება და მშენებლობაც დაიწყება

- როდის დასრულდება პროექტი?

- პროექტი ექსპლუატაციაში 2020 წელს შევა. წელს კი, სათავის ნაგებობის რეაბილიტაცია დასრულდება.

- რაც შეეხება მეორე პოქტს?

- მეორე პროექტი სურამის ორი დიდი უბნის-ბაიანთხევის და გვერდისუბნის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებას ითვალისწინებს და 280 ოჯახი 24 საათიან მომარაგებას მიიღებს. პროექტს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" ახორციელებს და იგი შვიდ თვეში უნდა დასრულდეს. მისი ღირებულება 1 მილიონ 200 ათას ლარამდეა. დღემდე ამ

ორი პროექტი, რომელთა დასრულების შემდეგ სურამის მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა მთლიანად მოეხსნება

უბნების მოსახლეობა (ბაიანთხევი სრულიად და გვერდისუბნის ნაწილი) წყალს მთის კალთებზე არსებული მცირე დეპატის მქონე წყაროებიდან იღებდა, თან, პრაქტიკულად, არასტანდარტულს.

- ეს უბნები საკმაოდ მაღლა მდებარეობენ სურამის ცენტრიდან. როგორ მოხდება წყლის მიწოდება?

- წყალმომარაგება განხორციელდება ცხრაამუხის სატუმბიდან ცენტრალურ რეზერვუარში მიმწოდებელი მაგისტრალური წნევიანი მილიდან, რომლის განშტოება მოეწყობა ყოფილი მინის ტარას ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჭიდან. სადაც მოეწყობა შესაბამისი სარეგულაციო ურდულები. წნევის გარანტირებულად უზრუნველყოფის მიზნით, ამალეებისქუჩის ბოლოს, ე.წ. კვართისის გორის კალთაზე, აშენდება 500 მ. კუბი (500 ტონა) ტევალობის რეზერვუარი, რომელშიც აიქნება წყალი. რეზერვუართან მოეწყობა წყლის გაუსნელოვნების ნაგებობა, სანიტარული ღობით. პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე ქსელში 17 ერთეული სახანძრო ჰიდრატისა და ურდულების დამონტაჟებას, ინდივიდუალური სახლების კერძო საკუთრებასთან განშტოებებისა და წყალმომარაგების მოწყობას. რეზერვუარის გადავსების შემთხვევაში, ზედმეტი წყალი, გადამღვრელი მილით მიუერთდება 300 მეტრის მანძილზე არსებულ სანიაღვრე ქსელს. ვინაიდან, საპროექტო უბნების ნიშნულები განსხვავებულია, ქსელში წნევების რეგულირებისთვის, პროექტი ითვალისწინებს საპროექტო ქსელის ორ ზონად დაყოფას და ერთ-ერთ უბანზე წნევის განმტვირთველი ჭის მოწყობას. ზონები კი ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება ურდულებით.

ბატონო ზვიად, მოგეხსენებათ, ბაიანთხევის უბანში (26 მაისის ქუჩა) გასულ წელს დაიგო ასფალტის საფარი. აღნიშნული პროექტი ხომ არ დაახიანებს ქუჩას?

- ნებისმიერ მონაკვეთში, სადაც ქუჩა გადაითხრება, მშენებელი კომპანია ვალდებული იქნება იმ მონაკვეთს პირვანდელი სახე დაუბრუნოს.

მაშ ასე, იწყება ორი უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელება. ბიჯნისის, ურთხვის, ბუღაურის, იტრიის, ჩუმათელეთის, ბაიანთხევის, გვერდისუბნის მოსახლეობა (5 ათასზე მეტი ბენეფიციარი) უწყვეტ რეჟიმში, 24 საათის განმავლობაში, მიიღებს სასმელ წყალს, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს ადგილობრივების ყოფა-ცხოვრებას და ჩამოსული ტურისტებისათვის კომფორტული გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს. პროექტების დასრულების შემდეგ, სურამში მივიღებთ გამართულ ინფრასტრუქტურულ ობიექტებს, დაცულ სანიტარულ ზონებს და დაბის ტურისტული პოტენციალის ზრდას. პროექტები, თავისი შინაარსით, აბსოლუტურად მდგრადი იქნება, რადგან ინფრასტრუქტურული ობიექტების შემდგომ მოვლა-შენახვას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს.

გ. გოგოლაძე



ნარჩენების გადამამუშავების პრაქტიკა ესტონეთში - გამოცდილება, რომელიც სასარგებლოა

ამ დღეებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი ნინო სუხიაშვილი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ესტონური ცენტრის მიწვევით, იმყოფებოდა ესტონეთში (ამ ვიზიტის შესახებ, გაზეთის მომდევნო ნომერში ვიამბობთ), სადაც ძირითად მისიასთან ერთად, ესტონეთში დანერგილ ტექნოლოგიურ სიახლეებს გაეცნო. ვფიქრობთ, ესტონური გამოცდილება ჩვენს მუნიციპალიტეტსაც დიდ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს.



შესაძლოა, ნარჩენების მიმართ კულტურული დამოკიდებულება საქართველოსა და ესტონეთს განსხვავებული ჰქონდეს, მაგრამ რაიონულ თუ მუნიციპალურ დონეზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის საბჭოთა გამოცდილება ამ ორ ქვეყანას ნამდვილად მსგავსი აქვს. საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის და ევროპასთან ინტეგრაციის შემდგომ კი ესტონეთში ნარჩენების მართვის პრაქტიკა რადიკალურად შეიცვალა და გაუმჯობესდა,

რაშიც გადამწყვეტი როლი სწორედ ევროკავშირის მოთხოვნებმა და ევროკავშირისგანვე მიღებულმა მნიშვნელოვანმა ინვესტიციებმა შეასრულა.

ტალინის ნარჩენების გადამამუშავებელი ცენტრი მუნიციპალური შპს-ა, თუმცა, ორგანიზაცია კერძო სამართლის იურიდიული პირია და სხვა კერძო კომპანიებთან კონკურენტულ გარემოში ისე ფუნქციონირებს, როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს-სუბიექტი. ნარჩენების გადამამუშავებაზე სატენდერო წინადადებებით ძირითადად მუნიციპალიტეტები გამოდიან. კომპანია ტენდერებში მონაწილეობს, იმარჯვებს, ან მარცხდება.

ნარჩენების გადამამუშავებელი კომპანია, რომლის განვითარებაში უდიდესი, რამდენიმე მილიონიანი ევროს ღირებულების ფინანსური წვლილი ევროკავშირის მიუძღვის, საკუთარ მისიად გარემოს დაცვას მიიჩნევს. მისი ტერიტორია 67 ჰექტარია. აქ ხდება შერეული ნარჩენების - მეტალის, ქაღალდისა და მუყაოს, მინის პლასტიკატის და მანე ნარჩენების გადამამუშავებაც. შედეგად, ტალინის ერთი საკმაოდ დიდი უბანი გათბობას იღებს. ხდება მიწის გამანოყიერებელი სასუქის მიღებაც.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საყოფაცხოვრებო ნარჩენების მნიშვნელოვან კომპონენტთან - ნახმარ ტანსაცმელთან დამოკიდებულებაც. პოლიგონზე ამჟამად ტანსაცმლის მისადგებად სპეციალური კონტეინერები დგას, რომლებიც მალე ესტონეთის ქალაქებში განთავსდება. მოქალაქეებს შეუძლიათ იქ განათავსონ ტანსაცმელი, რომელიც თავად აღარ სჭირდებათ, მაგრამ შესაძლოა სხვამ გამოიყენოს. ერთადერთი პირობა, რაც შესასრულებელია, ტანსაცმლის სისუფთავეა.



ესტონეთში მოქმედებს ნარჩენების გადამამუშავების დეპოზიტური სისტემა, რომელიც საქართველოში ფეხს ახლა იდგამს. დეპოზიტური სისტემა ტარის - მათ შორის მინის, ლითონის, განსაკუთრებით კი პლასტიკატის გადამამუშავებაზე ორიენტირებული. კომპანია „ესტი პანდიპაკენდი“, რომელიც ნარჩენების გადამამუშავების დეპოზიტური სისტემით მუშაობს, ესტონეთის უაღკოპოლო სასმელების და ლუდის მწარმოებელთა, ასევე საცალო გაყიდვებისა და სასმელების იმპორტიორთა ასოციაციების საკუთრებაშია. თითოეული ასოციაციის საწარმოს 25%-იანი წილის მფლობელია, რაც მათთვისაც მომგებიანია, რადგან სადეპოზიტო კომპანიის ფლობა მათ აქციონის გადასახადისგან ათავისუფლებს. ნარჩენების გადამამუშავების დეპოზიტური სისტემის მუშაობის პრინციპი ასეთია: მოქალაქე, რომელიც უაღკოპოლო სასმელს, ლუდს ან სიდრს ყიდულობს, დამატებით იხდის ტარის ღირებულებას, რაც 10 ევროცენტია. მყიდველს შეუძლია უკვე ცარიელი ტარა ადგილობრივ სუპერმარკეტებსა და მცირე მაღაზიებში განთავსებულ დეპოზიტურ აპარატებში განათავსოს და მასში გადახდილი 10 ევროცენტი უკან დაიბრუნოს. დეპოზიტის აპარატებში განთავსებული ტარა კი მეორად გადამამუშავებას ექვემდებარება და მისგან სხვადასხვა პროდუქცია - მათ შორის ტანსაცმელიც მიიღება.

ნარჩენების მართვა ესტონეთში დღეს მომგებიან ბიზნესად ითვლება.

6. სუხიაშვილი

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო განათლების სისტემაში ფუნდამენტურ ცვლილებებს აანონსებს. უფრო კონკრეტულად, ცვლილებები ეხება როგორც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ისე სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ სასწავლო პროცესს. რეფორმებიდან ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული კი სკოლის გამოსაშვები ე.წ. კატის გამოცდების გაუქმება აღმოჩნდა, რომლის შესახებ განათლების სამინისტრომ ერთი კვირის წინ განაცხადა. ცვლილებების თანახმად, 2019 წელს სკოლის გამოსაშვები გამოცდები როგორც მე-11, ისე მე-12 კლასის მოსწავლეებს ეხსნებათ და უმაღლესი საგანმანათლებლო საფეხურზე გადასასვლელად, პირდაპირ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება მოუწევთ. გამოცდების მოხსნის საკითხს განათლების ექსპერტთა ნაწილი დადებითად აფასებს, ნაწილს კი კრიტიკული შენიშვნები აქვს და ცვლილებაში კორუფციის საფრთხესა და განათლების ხარისხის გაუარესების პერსპექტივას ხედავს.

განათლების ექსპერტი თამარ ჯაყელი - ზოგადი უნარ-ჩვევების ტესტებში ძალიან ბევრი გაუბეზრობაა

არსებობს თუ არა აღნიშნული საფრთხე და რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს განათლების სისტემაში დაგეგმილ რეფორმებს, ამის შესახებ განათლების ექსპერტი თამარ ჯაყელი ისაუბრებს:

- როგორც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ისე განათლების ექსპერტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ამჟამად განათლების სისტემაში ბევრი ხარვეზია, რომლებიც ხარისხის გაუმჯობესებას უშლის ხელს. თქვენ რომელ პრობლემურ საკითხებს გამოკვეთდით და როგორია მათი მოგვარების გზები?

- უამრავი პრობლემა იკვეთება და ჩემი აზრით, მათი საფუძველია ის მექანიციური ხედვა და წარმოდგენა, რომელიც ჩვენი ცნობიერების ღრმა შრეებშია დამკვიდრებული და განაგებს ჩვენს საგანმანათლებლო საქმიანობას. ამ კონცეპტუალური ხედვიდან მომდინარეობს ყველა ის მექანიზმი, სტრატეგია თუ მიდგომა, რომლებიც ჩვენს სისტემაში დაინერგა ხარისხის ამაღლების მიზნით. უფრო კონკრეტულად: ამჟამად განათლების სისტემაში დამკვიდრებულია ისეთი ხედვა, რომელიც მხოლოდ გარეგანი ქცევებით ინტერესდება და ფიქრობს, რომ ადამიანი, როგორც მანქანა, როგორც ობიექტი, შეიძლება გარედან ვმართოთ და გარე ზეწოლის შედეგად გამოვიწვიოთ მასში სასურველი ქცევა. შესაბამისად, სისტემაში ვყავს „ღირეპტორი-ობიექტი“, „მასწავლებელი-ობიექტი“, „მოსწავლე-ობიექტი“, რომელთა მართვა გვსურს გარე ზეწოლების გზით. ზრდა-განვითარება და შინაგანი გარდაქმნა კი შეუძლია არა „ობიექტს“, არამედ მხოლოდ „სუბიექტს“ - პიროვნებას. ამიტომ აუცილებელია, ავამოქმედოთ პიროვნებაზე ორიენტირებული ბერკეტები, რომლებიც ყველა სუბიექტს აღუძრავს ზრდა-განვითარებისა და გარდაქმნის სურვილს. ასე რომ, ჩემი აზრით, ხარისხის გაუმჯობესებას ხელს უშლის სისტემაში მოქმედი „ადამიან-ობიექტზე“ ორიენტირებული ბერკეტები. სწორედ მათი დეკონსტრუირების პროცესებია დაწყებული, რის გარეშეც შეუძლებელია საგანმანათლებლო პროცესების განახლება.

- ზოგადი უნარ-ჩვევების სავალდებულო გამოცდების ნუსხიდან ამოღებამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. საზოგადოების ნაწილი ამბობს, რომ ის სწორედ ადამიანის ლოგიკურ აზროვნებასა და კომპლექსურ ცოდნას ამოწმებს. რამდენად ეთანხმებით ამ შეხედულებას?

- მიმაჩნია, რომ ზოგადი უნარ-ჩვევების ტესტებში ძალიან ბევრი გაუგებრობაა: ეს ინსტრუმენტი - ლოგიკური აზროვნების შემოწმებას რომ ისახავს მიზნად - თავადაა მოკლებული ყოველგვარ ლოგიკას. ჯერ ერთი, მათემატიკური ნაწილი მთლიანად მათემატიკურ ცოდნაზეა დამოკიდებული. ვინც მათემატიკა კარგად იცის, ის გაცილებით უკეთესს შედეგს მიაღწევს, ვიდრე ის, ვინც მათემატიკა არ იცის. ამ ნაწილში რაიმე კონრეტული ცოდნისგან დამოუკიდებელ „ზოგად უნარზე“ საუბარი ილუზიაა. მეორეც, ვერბალურ ნაწილში წაკითხულის გააზრებაზე მიმართული დავალებები ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტში ისედაც არის, ანუ სრული გადაფარვაა.

ვერბალურ ნაწილში მოცემული ტესტური დავალებები, რომლებიც ვითომდაც „პირწმინდად“ ზოგად უნარებს ამოწმებს, ასევე ილუზორულია, რადგან ისინი კონრეტულ ცოდნას ერწყმიან. მაგალითად, სიტყვათა მნიშვნელობებს შორის არსებული მიმართებების ამოსაცნობად, პირველ რიგში, საჭიროა, იმ სიტყვათა მნიშვნელობების ცოდნა. თუ აბიტურიენტმა სიტყვის მნიშვნელობას არ იცის - ანუ მას არ აქვს ეს კონრეტული ცოდნა, ბუნებრივია, ის „ზოგად უნარს“ ვერაფრით გამოავლენს. დამერწმუნეთ, ამ დავალებებში უხვდაა ისეთი სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა შესაძლოა ბევრმა არ იცოდეს (მაგ. პანდემია, იმუნური, ინკოგნიტო, არქიპელაგი და მისთ). ანუ თუ მოსწავლემ არ იცის სიტყვის მნიშვნელობა, რა შევაფასეთ, ზოგად უნარი თუ კონრეტული ცოდნა?

საქმე ისაა, რომ „ზოგადი უნარების“ ტესტები ეფუძნება არასწორ პოსტულატს, რომლის მიხედვით ცალკეული უნარი ფიქსირებულია და ნებისმიერ კონტექსტში ერთნაირად გამოვლინდება. კოგნიტურ მეცნიერებაში წარმოებულმა კვლევებმა კი აჩვენეს ამ პოსტულატის სიმცდარე. სპეციფიკური ცოდნა გადამწყვეტ როლს თამაშობს ზოგადი უნარების გამოვლენაში. სამწუხაროდ, ჩვენ წლების განმავლობაში ვრჩებით გულუბრყვილო წარმოდგენების ტყვეობაში, კითხვის ნიშნის ქვეშ არ ვაყენებთ ჩვენს წარმოდგენებს, მივდევთ ერთხელ გაკვალულ გზას; მეტიც, ხშირ შემთხვევებში, არც კი ვაცნობიერებთ, რომ შეხედულებათა გადასინჯვის საჭიროება დგას. ამიტომაც ხდება, რომ განათლების მეცნიერების წინსვლის მიუხედავად, რომელმაც დიდი ხანია დაადასტურა განათლებაში მექანიციური ხედვაზე დაფუძნებული მიდგომების უსაფუძვლობა, ვებღაუჭებთ ერთხელ შექმნილს.

- რაც შეეხება სკოლის გამოსაშვები გამოცდების მოხსნის საკითხს, როგორ ფიქრობთ, რა შედეგების მომტანი შეიძლება იყოს ის და ხედვით თუ არა ისეთ საფრთხეებს, რაზეც ოპოზიციისა და ექსპერტთა ნაწილი საუბრობდა? მაგალითად, კორუფციის საფრთხეს ან განათლების ხარისხის დაწევას?

- ე.წ. კატის გამოცდების გაუქმებას ვუყურებ როგორც დადებით მოვ-

ლენას, მაგრამ გული მწყდება, რომ ეს ერთი ცვლილება კონტექსტიდან ამოვარდნილი სახით განიხილება, აუცილებელია დაგეგმილი ცვლილებების მთლიანობაში განხილვა. გამოსაშვები, ანუ ე.წ. კატის გამოცდები მექანიციური ხედვის ნაყოფია და იგი ორ არასწორ პოსტულატს ეფუძნება. ერთ მათგანს ზემოთ შევხებით. მეორე პოსტულატი, რომელიც ეხება ასევე ზოგადი უნარების ტესტსაც, შემდეგში მდგომარეობს: ცოდნა მარტივ მამრავლებად, მარტივ კომპონენტებად იშლება, ცალკეული კომპონენტის იზოლირებულად შემოწმებით მთლიან ცოდნას შევამოწმებთ. კოგნიტურ მეცნიერებებში წარმოებულმა კვლევებმა კი უკვე დიდი ხანია დაადასტურა, რომ ცოდნას ქმნის არა ცალკეული კომპონენტების მექანიკური

ჯამი, არამედ ამ კომპონენტების თვისებრივი ერთიანობა. რაც უფრო ურთიერთდაკავშირებული, იერარქიზებული და ორგანიზებულია გონებაში ცოდნათა ერთობლიობები, მით უფრო ძლიერია ჩვენი სააზროვნო უნარები. კარგი სპეციალისტი ის ადამიანია, რომელიც ფლობს ურთიერთდაკავშირებულ ცოდნათა სისტემას და არა ცოდნის იზოლირებული კომპონენტების გროვებს.

ამ გამოცდის არსებობა ზიანს აყენებდა სასწავლო პროცესს მრავალი თვალსაზრისით, აქ მხოლოდ ერთზე შევხვდებით.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჰოვარდ გარდნერი აღნიშნავდა ამერიკის სკოლებში დამკვიდრებულ „ტესტომანიასთან“ დაკავშირებით, რომ უკვე ძალიან კი არ ამოძრავებს კულს, არამედ კული ამოძრავებს ძალს. განათლების ენაზე ეს ნიშნავს შემდეგს: გამოცდა აფასებს არა იმ ცოდნას, რომელსაც სკოლა აძლევს მოსწავლეს, პირიქით: სკოლა აძლევს მოსწავლეებს იმ ცოდნას, რომელიც გამოცდაზე ფასდება. ზუსტად ასე მოხდა ჩვენთან და ეს ბუნებრივიცაა - ტესტები ხომ მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლების დირექტორების ბედს წყვეტს. ამიტომ ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელიც განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს, რა უნდა შეეძლოს, რა ღირებულებები უნდა ჩამოუყალიბდეს მოსწავლეებს, მთლიანად ჩაენაცვლა ტესტირების მოთხოვნები. განა ამგვარი ტესტების ჩამბარებელი თაობის ფორმირებაა ჩვენი ქვეყნის განათლების მიზანი? განა ამით გავზრდით პატრიოტ და მთაზროვნე მოქალაქეს? ვიდრე ეს ტესტირებები „ადამიან-ობიექტების“ ბედს წყვეტს, მანამდე საკლასო ოთახში საგანმანათლებლო პროცესს ვერ შევცდით. ამიტომ იყო აუცილებელი „კატის“ გაუქმება. აღარაფერს ვამბობ იმ სოციალურ უასამართლობაზე და არაჯანსაღ სასკოლო სიტუაციაზე, რომლებიც ამ გამოცდამ განაპირობა.

რაც შეეხება კორუფციას, აქვე მინდა გავამახვილო ყურადღება ძალიან მნიშვნელოვან სიახლეზე, რომლის დანერგვასაც პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“ ითვალისწინებს. ეს არის ყოველწლიური ეროვნული შეფასებების ჩატარება, როგორც დაწყებით, ისე საბაზო საფეხურებზე. ამ გზით სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესები სრულიად გამჭვირვალე იქნება. მაგრამ ეს შეფასება განხორციელდება არა განსჯის, არამედ განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ჩვენ გავაანალიზებთ, როგორ მიდის წინსვლა თითოეულ სკოლაში, სად არის შეფერხებები, სად რა ტიპის მხარდაჭერაა საჭირო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ცხადია, შესაბამის ინტერვენციებსაც განვანხორციელებთ.

- რაც შეეხება მასწავლებელთა შეფასების ახალ სისტემას. განათლების სამინისტროს ინიციატივით, შემუშავდება და დამტკიცდება მასწავლებელთა სერტიფიცირების ახალი მოდელი და სახელფასო პოლიტიკა. მასწავლებლებთან დაკავშირებული სიახლეები გულისხმობს ასევე საგაკვეთილო პროცესში დაკვირვებასა და გამოცდებსაც. გააუმჯობესებს თუ არა ეს ცვლილებები მასწავლებელთა კვალიფიკაციას?

სამწუხაროდ, ჩვენ შევქმენით ისეთი ბერკეტები, რომლებმაც გამოიწვიეს სასკოლო კულტურის სრული დეგრადირება. დღეს ჩვენს სკოლებში, გარე ზეწოლების შედეგად, დიდი უმრავლესობა შეპყრობილია თვითგადარჩენის ინსტიქტით, რადგანაც დასჯა-წახალისების მექანიზმების შედეგად საფრთხე შეექმნა ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოთხოვნილებებს: პროფესიულ მიკუთვნილობას, დაფასებას, აღიარებას, პატივისცემას. განსჯის, მარცხის, დასჯის, შეურაცხყოფის, დამცირების შიშმა სკოლებში გააძლიერა შფოთვა, წუხილი, დაძაბულობა, გაამრავლა ვალდებულებები და მოჩვენებითი საქმიანობები. ამ არაჯანსაღ გარემოში ბავშვის განვითარებაზე საზრუნავად აღარავის სცხება! რად გადავაკციეთ საადმინისტრაციული გარემო, სადაც, წესით და რიგით, ყველა სათუთი, ნორჩი სულისა და გულის მქონე მოზარდების აღზრდა-განვითარებით უნდა იყოს დაკავებული?!

პირველი რიგის ამოცანაა, თითოეულ სკოლაში სასკოლო კულტურის გამოჯანსაღება, მოზარდებისთვის ჯანსაღი და მზრუნველი საადმინისტრაციული გარემოს შეთავაზება, რომელშიც მოსწავლეს თავდადების, უანგარობის, მოქალაქეობრივი შეგნების, სასკოლო თემისა და გარემოზე ზრუნვის, საქმისადმი ერთგულების, ურთიერთპატივისცემისა თუ თანადგომის ცოცხალ მაგალითებს მისცემს. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს გაწონასწორებული და სრულფასოვანი მოქალაქის აღსაზრდელად ამ ისედაც ურთულეს ეპოქაში.

ამიტომ ისეთი პირობები უნდა შევქმნათ და ავამუშავოთ ისეთი ბერკეტები, რომლებიც თითოეულ მასწავლებელს დაარწმუნებს - ისინი ქვეყნისთვის ძალიან ღირებული საქმეს აკეთებენ და ეს საქმე მათ კარგად გამოხლდით.

რაც შეეხება მასწავლებელთა შეფასების ახალ მოდელს, მე პირადად, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება შეფასების მიზნით ცოტა მაფიქრებს. ეს მხოლოდ მაშინ არის კარგი, როცა მასწავლებელთან თანამშრომლობა და მასთან ერთად ცდილობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას - ეს ორმხრივ გამამდიდრებელი კონსტრუქციული პროცესია. სწორედ ეს არის ის, რაც ახლა კეთდება ჩვენი პროექტის ფარგლებში.

ფიქრობ, რომ პედაგოგის შესაფასებლად მოსწავლის წინსვლის გაზომვა არის ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტი.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმა“ #5,6)

აზარმა – ნასოფლარი ლისის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდ. ტილიანას სანაპიროზე. რაიონის ცენტრიდან დაშორებულია 5 კილომეტრით, მდებარეობს ოსიურის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები აზარმას არ იცნობენ, იგი არც ძველ ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში გვხვდება. 1886 წლის აღწერით, აქ ცხოვრობს 18 კომლი (72 კაცი და 55 ქალი, სულ 127 კაცი).

1930 წლის მონაცემებით, აზარმაში 70 კომლი ცხოვრობს (186 კაცი და 211 ქალი, სულ 385 კაცი). მოსახლეობა, ეროვნული შემადგენლობის მიხედვით მთლიანად ქართულია.

აქ სახლობდნენ გვარები: ბერძენიშვილი, გელაშვილი, გოგოლაძე, გაგიშვილი, კაპანაძე, ლომსაძე, მოდებაძე, ქიმერიძე, ქურდაძე, ჩუტკერაშვილი, ხმალაძე, ჯიოშვილი...

1944 წელს აზარმის მოსახლეობა გადაასახლეს ახალციხის მხარეში.

აზარმის სახელით ცნობილია დასახლებული პუნქტი სამხრეთ საქართველოში. სახელწოდებიდან მომდინარეობს აზარმელთა ცნობილი ფეოდალური გვარი.

აზარმა იმ ტიპის გეოგრაფიული სახელია, რომელიც დაირთავს მა-სუფიქსს (უჯარმა, ბოჭორმა და ა. შ.).

ალექსანდრეს წყარო – ნასოფლარი მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, რაიონის ცენტრიდან დაშორებულია 17 კილომეტრით. ხ. დ. 1190 მ. მდებარეობს ხალების სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე. ცნობილია აღწერის სახელწოდებითაც.

მას არ იცნობენ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები, არც ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში გვხვდება.

შედიოდა საციციანოში. 1886 წლის აღწერით, აქ 6 კომლი სახლობს (35 კაცი, 28 ქალი, სულ 63 კაცი). მოსახლეობა, ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ოსურია. აქ სახლობდნენ გვარები: გაგლოშვილი, თედეშვილი, თიბილაშვილი, ქარსანაშვილი, თუმაანიშვილი...

სოფელი მდიდარია ცივი წყლებით. ხალხური ტრადიციით, აქ დასახლებულა ვინმე ალექსანდრე, რომელსაც ეს წყაროები აღმოუჩენია და ამის შემდეგ სოფელს ალექსანდრეს წყარო დარქმევია.

სოფელი მოიშალა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. სახელწოდება ალექსანდრეს წყარო მიღებულია სიტყვათშეერთებით, გენეტიური მსახლვრელი (ალექსანდრე) და ნომინატიური სახლვრელი (წყარო) არსებითი სახელებია და ორივე მხოლოდობით რიცხვშია.

სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმები (როგორც მაკრო, ასევე მიკრო) მრავლად გვხვდება ხაშურის რაიონის სინამდვილეში (ახალუბანი, ახალსოფელი, ახალშენი, ბაიანთხევი, ბულბულისციხე, გვერდისუბანი, იმერლიანთკარი, კაკალათხევი, კლდისწყარო, კოდისწყარო, მღვრიასწყალი, მურყინისწყარო, ნაცარგორა, სავანისუბანი, სარმანიშვილისკარი, ტაშისკარი, ტიტინისწყარო, ყიფიანთუბანი, ციფწყარო, ცხეთიჯვარი, ცხრამუხა, ხიდისყური, ჯვართმუხა).

სიტყვათშეერთებით მიღებული ტოპონიმის პირველ კომპონენტს (მსახლვრელს) წარმოადგენს სახელი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, იშვიათად ზმინიზედა), ხოლო მეორე კომპონენტს (სახლვრელს) კი ნომინატიული გეოგრაფიული ტერმინი (სოფელი, ციხე, უბანი, კარი, ხევი, წყარო, გორა, ძირი, ჯვარი და სხვა). ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, მსახლვრელად საკუთარი სახელია წარმოდგენილი, ხოლო სახლვრულად – გეოგრაფიული ტერმინი.

ალექსანდრეს წყარო ანთროპონიმური წარმოშობის სახელია.

ალი – სოფელი, სასოფლო საკრებულოს ცენტრი (ალი, ახალუბანი, დუმაკცხოვი, ზემო აძისი, კლდისწყარო, ნაბახტევი, უწლევი, ქინძათი, მცხეთისჯვარი), რაიონის ცენტრიდან დაშორებულია 25 კილომეტრით, ხ.დ. 760 მ.

მდებარეობს ჭერათხევის (აღის ფრონე) მარჯვენა სანაპიროზე. შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი ქალაქია.

არქეოლოგიური გათხრების გარეშე, შემთხვევით აღმოჩენილი მასალა მიგვანიშნებს, რომ ალი უძველესი დროიდან არის დასახლებული. აღის ციხის სამხრეთით აღმოჩენილია საკმაოდ ვრცელი დასახლება, სადაც ადამიანის ცხოვრების კვალი გვიანბრინჯაოს ხანიდან ჩანს. აქვე ნახავი და შესწავლილია ადრეანტიკური ხანის დასახლება და სამაროვანი. ალი მდიდარია ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლებით.

ვახუშტი ბატონიშვილი აღს, „მცირე ქალაქს“ უწოდებს და მისი ადგილმდებარეობისა და ბუნებრივი პირობების შესახებ აღნიშნავს: „ბრძლის-წყლის შესართავს ზეით არს აღის-წყალზედ, დასავლით კიდესა ზედა, ალი, ქალაქი მცირე... გაზაფხულ-შემოდგომას ჭყვანიან-ტალახიანი, ზამთარ ცივი, ზაფხულს ცხელი, არამედ ჰავით კეთილი, მხიარული...“

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ალის, ქალაქად დაწინაურება მოხდა XI–XII საუკუნეებში, რასაც ხელი შეუწყო მისმა მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. იგი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ გზაზე მდებარეობს, რამაც, თავის მხრივ, მას მნიშვნელოვანი როლი დააკისრა იმდროინდელ სავაჭრო-ეკონომიკურ ცხოვრებაშიც, რაშიც, როგორც ჩანს, აქ „მსახლობლნი...სომეხნი და ურიანი“ აქტიურად იყვნენ ჩართულნი. მათ საქონელი, ქუცნა ამირეჯიბის სიგელის მიხედვით, გაჰქონდათ „აქეთ თბილისამდე და იქით ქუთაისამდე“.

ალი რომ განვითარებული და გვიანდელი ფეოდალიზმის პერიოდში მნიშვნელოვან სავაჭრო-სააღებმძიმე ურთიერთობებში იყო ჩაბმული საქართველოს სხვადასხვა ქალაქებთან, მეტყველებს აქ აღმოჩენილი რამდენიმე განძი, რომელიც საისტორიო მეცნიერებაში, აღის განძის სახელწოდებითაა ცნობილი. ასეთი შემთხვევა სულ სამია ცნობილი. აქედან,

ერთი განძი დაკარგულია, ხოლო დანარჩენი ორი საქართველოს სახელმწიფო და ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებშია დაცული.

ჯერ კიდევ 1881 წელს გაზეთი „დროება“ წერდა: „ბევრს ადგილას სახნავ მიწებში პოულობენ ხენის დროს ქვევრებს და სხვა ძველ ნივთებს. ამას წინეთ ერთ მეწისქვილეს ეპოვნა ციხესთან ერთი ქოთანის თეთრი ფული, ნიადვრით ჩამოეჭამა მიწა და გამოჩენილიყო. ამ ძველმა ფულმა გაახარეს ურები, რადგან ადგილობრივმა მამასახლისებმა ყურადღება არ მიაქციეს“. ეს განძი დაკარგულია.

1925 წელს, ადვილ „ნაურიალებზე“ ნახეს 480 წერილი მონეტისაგან შემდგარი განძი, რომელთაგან 204 – ჯუჩიდ ხანებს (1290-1391 წლებს შორის) ეკუთ-

ვნის, ხოლო ნაწილი – ჯალარიდებს, ზოგი კიდევ – იოანე II-ეს (1280-1297 წწ) ტრაპიზონული ასპერების მიბაძულობაა, ხოლო 258 ცალი ქართულ მონეტებს წარმოადგენს. განძი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

მესამე განძი აღმოაჩინეს გომი-სახხურის გზის მშენებლობის დროს, 1971 წელს. ვერცხლის მონეტები მოთავსებული იყო კოჭობში. იგი თარიღდება XV–XVI საუკუნეებით. განძში შედის 6 ცალი ანონიმური შირვანული მონეტა, რომელიც მოჭრილია ხალილულა I-ის (1417-1462 წწ) მეფობის პერიოდში, 53 ცალი ფარუხ-იესარის (1417–1500 წწ) მეფობის პერიოდში მოჭრილი დაკნინებული თანგია, რომელშიც უძველესი მონეტა 834 წელს (პიჯრით) არის მოჭრილი, ხოლო უახლესი – 848 წელს (პიჯრით). 55 მონეტა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული, ხოლო 4 ცალი – სახხურის რაიონის სოფ. ქორეთის საშუალო სკოლის მუზეუმში.

არის სხვა შემთხვევებიც. აღის ტერიტორიაზე გარდა სამონეტო განძებისა, განსაკუთრებით კი მისი ციხის მიდამოებში, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილია სხვადასხვა პერიოდის მონეტები. ასე მაგალითად, ადრე ელინისტური ხანის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილია კოლხური მონეტები, ე.წ. ნახევარდრაქმები, რომელთა შუბლზე – პროფილში გამოსახულია ადამიანის (ღვთაების) თავი, ხოლო ზურგზე –

ხარის თავი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აღის ციხის მიდამოებში ე.წ. „გა-საყიდლიანთ ვენახში“ ნაპოვნი ნაპოვნი ჩინური მონეტა, რომელიც ერთადერთია საქართველოში. ნაპოვნი ნაპოვნი ჩინური მონეტა, რომელიც ერთადერთია საქართველოში. ნაპოვნი ნაპოვნი ჩინური მონეტა, რომელიც ერთადერთია საქართველოში. ნაპოვნი ნაპოვნი ჩინური მონეტა, რომელიც ერთადერთია საქართველოში.

მეკვლევარები ზ. ბრატაკი და ა. დავითაშვილი ჩინური მონეტის შესახებ აღნიშნავენ: „მონეტა დაზარალებულია ბრინჯაოსაგან. ორივე მხარეს შესრულებულია ჩინური წარწერები და ოთხკუთხედაა გახვეტილი. მასზე მოთავსებული წარწერები ამოიკითხა „ერთიდასი“ ჩინური მონეტების მცველმა ნ. იაკოჩინამ.

წარწერა ასე იკითხება: „ცინ – იუან ტინ ბაო“, „ბენიერი წამოწელების ეპოქის მთავარი მონეტა“.

ამ მონეტას ჩინეთში სუნის დინასტიის მმართველობის ხანაში ჰრიდენ (960 – 1279). არსებობდა ჩრდილოეთი (960 – 1127 წლები) და სამხრეთი (1127 – 1279 წლები) სუნის დინასტიები. აღნიშნული მონეტა სამხრეთი სუნის დინასტიის მმართველობის პერიოდს ეკუთვნის. მოჭრის თარიღი ალბერტიმ მონეტის მეორე მხარეს, სადაც ზის ნიშანი „ლაუ“, რაც ნიშნავს – 6. ე.ი. მონეტა მოჭრილია მმართველობის მეექვსე წელს, ანუ 1200 წელს.

მცხეთაჯვარში მოპოვებული ჩინურ მონეტას, რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება XII–XIII საუკუნეების საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ნიშანდობლივია, რომ იგი აღმოჩნდა შუა საუკუნეების ცნობილი ქართული ქალაქის აღის მიდამოებში, იქ, სადაც ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან გადიოდა დიდი სავაჭრო-სატრანსპორტ გზა.

როგორც ცნობილია, ფეოდალური საქართველოს ქალაქები არა მარტო ხელოვნური წარმოების ცენტრები იყვნენ, არამედ სავაჭრო პუნქტებიც. ქალაქები აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც საშინაო, ასევე სავაჭრო ვაჭრობაში და ურთიერთობა ჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორის ჩინეთთანაც.

თამარის ეპოქაში ჩინური სამყარო, რასაკვირველია უცხო არ იყო საქართველოსთვის. აბრეშუმის ცნობილი გზის მეშვეობით – აბრეშუმი – გზას იკვლევდა დასავლეთის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც. როგორც ჩანს, XIII საუკუნეში შემოქმენდათ ჩინური კერამიკის ნიმუშებიც. დმანისის ნაქალაქარზე აღმოჩენილია კერამიკის ძვირფასი სახეობა – სელადონი.

საქართველოს ქალაქების სავაჭრო სავაჭრო კონტაქტებზე მიუთითებს უცხოური მონეტების აღმოჩენა და პირიქით, ქართული მონეტების აღმოჩენის ფაქტები საზღვარგარეთ.

ქალაქი ალიც აქტიურად რომ უნდა ყოფილიყო ამ კონტაქტებში ჩაბმული, მიანიშნებს, 1925 წელს აქ აღმოჩენილი მონეტებისაგან შემდგარი განძი, რომლის უდიდესი ნაწილი სწორედ XIII საუკუნეს მიეკუთვნება.

ამრიგად, ყველა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ალი განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთ დაწინაურებულ ქალაქს წარმოადგენდა. ჩვენი აზრით, მისი აღმავლობის მიზეზი მოხერხებულ გეოგრაფიულ მდებარეობაში უნდა ვეძებოთ. უკვე ვახსენეთ, რომ იგი ცნობილ სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობდა და უკანასკნელი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო, რომელიც ერთმანეთთან უმოკლესი გზით აკავშირებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს.

დასაშვებად მიგვაჩნია მეორე თვალსაზრისიც. შესაძლოა, აღნიშნული მონეტა აქ მოხვედრილიყო მონღოლთა პირველი შემოსევების შემდეგ, XIII საუკუნის მეორე ოცწლეულის დასაწყისში. ვინაიდან მონეტა 1200 წლით თარიღდება, ვფიქრობთ, არ გამოირიცხება ვარაუდი, რომ იგი აქ მართლა მონღოლებს მოეტანათ. ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ მცხეთიჯვრის შუა საუკუნეების კულტურული ფენა სწორედ XIII საუკუნეშია ძალდატანებით განადგურებული, რაზეც მეტყველებს მძლავრი ნახანძრალი ჰორიზონტი, რომელიც შესაძლოა, რაღაც საომარ მოქმედებასთან იყოს დაკავშირებული“.

მეკვლევარები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მცხეთიჯვრის XII–XIII საუკუნეების კულტურული ფენა ინტენსიური ცხოვრების კვალით გამოირჩევა. ამასთან აღის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა (სომეხები, ებრაელები) კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ალი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრია. „თუ გავითვალისწინებთ თამარის ეპოქის საქართველოს ფართო საერთაშორისო ურთიერთობებს, ცხადი ხდება, რომ აღნიშნული მონეტა მაინცდამაინც სავაჭრო-ეკონომიკური გზით უნდა მოხვედრილიყო საქართველოში“ – დაასკვნინან ავტორები.

სოფელი ალი პირველად ქართულ საისტორიო წყაროებში 1178 წელს მოიხსენიება. გუჯარში, რომელიც გიორგი III-ეს (1156-1184 წ.წ.) ეკუთვნის, ნათქვამია, რომ ალს, სამთავისის სამწყსოში შემავალ სხვა სოფლებთან ერთად სამთავნელის სასარგებლოდ ემართა ვერცხლის დრამა: „უმეტესად სამ-სამი – 19 სოფელს, ოთხ-ოთხი – 5 სოფელს... ექვსი დრამა – სოფელ ალს...“

(გაგრძელება)

მონღოლთა ბატონობის პერიოდში ალის, როგორც ქალაქის, მნიშვნელობა ეცემა, თემურ ლენგის შემოსევების შედეგად კი მთლიანად განადგურდა. ეს მოხდა 1403 წელს, როცა თემურ-ლენგი ალის გზით დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ალის ხეობა მთლიანად ააოხრა. ალი ადადგინა ქუცნა ამირეჯიბმა, რომელიც თავის სიგელში მიუთითებს: „ჩვენგან აშენებული ალი“. როგორც ჩანს, ალი ამირეჯიბების მამულია. ქუცნა ამირეჯიბმა ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირა „გამოდმა ალი სრულიად, ბაჟის მესამედი; ორი კვამლი შიგ ალში ნასყიდი ურიები ...“

ამავე სიგელით ირკვევა, რომ ალი ერთი პერიოდი იმერეთის მეფე ალექსანდრეს (1372-1389 წწ.) აუღია და ამირეჯიბებისათვის წაურთმევია, მაგრამ შემდეგ ისევ დაუბრუნებია.

გარდა ქუცნა ამირეჯიბისა, ალექსანდრე დიდმა (1412-1442) „გამოდმა ალს“ ულუმბის მონასტრის სასარგებლოდ დააკისრა გადასახადი „...ეზილაბეგის შვილს ოცდაორი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი. მარიამას შვილს თორმეტი ლიტრა ზეთი, სუთანას და მიშრიშას შვილს ცხრა ლიტრა ზეთი“, ხოლო საკუთრივ ალიდან „...ურთასა დავითას შვილს ნაცვალს ორი ლიტრა სანთელი“.

ალს ვხვდებით „ხელმწიფის კარის გარიგებაშიც“. მასში ნათქვამია: „საწოლის მწიგნობრის წვევა დაუწერია და ამ პატრონისაგან არ მასმია, მისმან კეთილმან! და ალის-ჭაღას, ოდეს მათი შვილი მოვიდა, შეიყარნეს, კათალიკოზი თანა ჰყვა და ალის ეკლესიის კარს იღვა“.

პროფ. ი. ანთელავას მიხედვით, აქ ლაპარაკია დავით ნარინისა (პატრონისა) და მისი უფროსი ვაჟის, აღმოსავლეთ საქართველოს მეფის, ვახტანგის შეხვედრაზე ალის ჭაღას, რომელიც 1289-1292 წლებში უნდა მომხდარიყო. ალს მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა უჭირავს, ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ აქ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების საზღვართან შეხვედროდა ერთმანეთს მამა-შვილი-დაასკენის ი. ანთელავა.

ის ფაქტი, რომ ალი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს, ადასტურებს საუკუნეების განმავლობაში აქ არსებული საბაჟოც. ჯერ კიდევ ქუცნა ამირეჯიბი ახლად აღდგენილი ულუმბის მონასტრის სწირავს „გამოდმა ალის ბაჟის მესამედს“ (XV საუკუნის 10-20-იანი წლები). ვახტანგ VI-ის „დასტურ-ლამაღს“ მიხედვით „ქალაქისა გორისა, ალისა და თუ გინდა სხვაგან, ყველას მებაჟე ერთი იქნების, ცალ-ცალკე ვერავისი დადგება ხელმწიფის იჯარადარის მეტი“.

XVI საუკუნის 30-იან წლებში ალი იმერეთის სამეფოს შემადგენლობაშია. ლუარსაბ I მას ბაგრატ იმერთა მეფეს (1510-1566 წწ) აძლევს. ბერი ეგნატაშვილი წერს, რომ „ქორნიკონს სიდ (1526) მისცეს მეფე ბაგრატს ქართლი, მეფესა იმერეთისასა, არადეთის წყალს გამოლმა ალი, სურამი და ახალდაბა“. ასეთი მდგომარეობა გრძელდება ამავე საუკუნის 60-იან წლებამდე, კერძოდ, 1554 წლამდე, როცა შამთამაზმა დაიპყრო სურამის მხარე.

ალი XVI საუკუნის II ნახევარში გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმოადგენდა სვომონ I-ის (1556-1600 წწ) რეზიდენციას, რომელიც დაუდალავ ბრძოლას ეწეოდა ოსმალეთის წინააღმდეგ. XVIII საუკუნის 20-იან წლებში ვახტანგ VI რუსეთში გამგზავრებამდე, 1723 წელს რამდენიმე თვით იღვა სოფელ ალში, აქედან გადავიდა იგი იმერეთის გავლით რაჭაში, ხოლო შემდეგ, 1724 წელს გაემგზავრა რუსეთში.

XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა 1672-1673 წლებში, წერს: „ქართლში ოთხი ქალაქია: გორი, სურამი, ალი და ტფილისი“. ჟან შარდენი ალის შესახებ აღნიშნავს, რომ იგი პატარა სოფელია: „...შუა დღისას მივედით ერთ პატარა სოფელში, რომელსაც ალი ეწოდება. ის ცხრა ეკლესია არის გორიდან და ორ მთას შორის მდებარეობს...“ როგორც ჩანს, XVII საუკუნის 70-იანი წლებისთვის, როცა ჟან შარდენმა იმოგზაურა საქართველოში, ალი ძალზე დამცრობილია.

XVIII საუკუნეში ალი კვლავ დაწინაურდა და ზემო ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქად გადაიქცა, თუმცა, ვახუშტი ბატონიშვილი მას მცირე ქალაქად მიიჩნევს. ამ პერიოდის სხვა წყაროები ალს ქართლის ერთ-ერთ მთავარ ქალაქად ასახელებენ. „ამ პროვინციაში (ზემო ქართლი) მთავარი ქალაქებია გორი, ცხინვალი, სურამი, ალი“ – აღნიშნავს ალ. ამილახვარი.

ალი სამეფო ქალაქი იყო. მას ჰყავდა მოურავი. „დასტურ-ლამაღის“ მიხედვით, მას ნაცვალცი (ქალაქის პოლიცემისტერი) ჰყავს, რომლის მოვალეობაც იყო ქალაქში წესრიგის დაცვა და მასზე თვალყურის დევნება. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ალის მოურავობა ქართლის სამეფო კარს აბაშიძეების გვარისათვის ჰქონდა ნაბობები.

1715 წლის რუხის სამწესოს დავთარში აღიდან 22 კომლია აღწერილი (თვალი, კეკაშვილი, ნებიერიძე, გრიგალაშვილი, გვიგინაშვილი, გონაშვილი (2), კვინიკაძე (2), დალაქი, პირველაშვილი, პერენიძე, მეზურვე, კაპანაძე, ჭურაძე, ჯვარელიძე, დვალი, უოჟუშვილი, ატოცელი (2)...). დავთარში ალი მოხსენებულია როგორც „დაწვევლილ ალში“. თუ რატომ მოიხსენიება ალი ასეთ კონტექსტში ჩვენთვის გაუგებარია.

თბილისის ვილაიეთის 1728 წლის დიდი დავთრის მიხედვით, ალში 193 კომლი ცხოვრობს. დავთრიდან კარგად ჩანს, რომ ალი კვლავ მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრია. აღწერის მასალებით აქ დუქნების რაოდენობა 61 ყოფილა. წარმოდგენილია მეურნეობის ისეთი დარგები, როგორცა მემინდვრობა, მევენახეობა, მესაქონლეობა. მოსახლეობა იხდის ოსმალურ გადასახადებს: ისფინჯის, უშრის, არუსენას, თაფუს, დიშთიბანის და სხვა. საერთო ოსმალური გადასახადების რაოდენობა შეადგენს 20000 ახჩას.

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან, ალი სისტემატურად განიცდიდა ლეკთა თავდასხმებს. ამის დასტურია არაერთი ტოპონიმი, რომელიც ალის შემოგარენშია დაფიქსირებულია, აგრეთვე ის ლეგენდები და თქმულებები, რაც ხალხში ფართოდ არის გავრცელებული.

განსაკუთრებით მძიმე იყო ალისათვის 1758 წლის ლეკთა თავდასხმა. მათ დაარბიეს ალი, აიღეს ალის ციხე და მრავალი ტყვე წაიყვანეს. აღნიშნულმა ფაქტმა ფართო ასახვა ჰპოვა ქართულ საისტორიო მწერლობაში (დ. ბატონიშვილი, ი. ხელაშვილი, ანტონ ბაგრატიონი და სხვ.).

ამ მოვლენის გამოძახილი უნდა იყოს ალში გავრცელებული თქმულება, რომლის მიხედვითაც ლეკების შემოსევისას ხალხი ალის ციხეში შეხიზნულა და გამაგრებულია. ლეკებს ციხისთვის ალყა შემოურტყამთ და უფიქრიათ, ციხეში შეხიზნულებს წყალი გამოეღვება და დაგვენბდებიანო. მეციხოვნეებს ციხის აუზში ცოცხალი თევზები ჰყოლიათ და, როცა გასჭირვებით, ციხიდან

გადმოუყრიათ. ლეკებს უფიქრიათ, მათ წყლის იმდენი მარაგი ჰქონიათ, რომ ცოცხალი თევზებიც ჰყოლიათო. ციხისთვის ალყა მოუსხნიათ და წასულან. გზაში დაუჭერიათ ერთი კაცი (ზოგი ამბობს მახვილაძეს) და უთქვამთ, ციხე აგვადებინე და, რასაც მოითხოვ, მოგცემთო. იგი დათანხმებულია და ლეკები წამოუყვანია მთის ბილიკით, რომელიც ციხეს უვლიდა ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან. ამ ბილიკს დღესაც ლეკის გზას უწოდებენ. ლეკების წასვლის შემდეგ ციხიდან მამაკაცები გამოსულან, შიგ დაუტოვებიათ მხოლოდ ქალები და ბავშვები.

ახლა ლეკები შეპარულან ციხის გაღავნის კარებიდან, მაგრამ კარებში ქალები ჩამდგარან და დიდი ბრძოლა გაუმართავთ ლეკებთან. ერთს, ათი ვაჟის დედას, ლეკები ისე აუკაფავს, რომ მათგან ნადენი სისხლი ღვარივით გადმოდიოდა და ფრონის წყალი წითლად შეუღაბავს. ბოლოს, დიდი ბრძოლის შემდეგ ეს ქალი მოუკლავთ, ციხეც აუღიათ და შიგ შეხიზნულები დაუხოცავთ.

ითანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერის“ მიხედვით, XVIII საუკუნის ბოლოს, ალი მოსახლე სოფელია. იგი ერეკლე II-ის მეუღლის, დარეჯან დედოფლის მფლობელობაში იყო, როგორც სადედოფლო მამული. 1785 წელს დარეჯანმა ალის მამასახლისის სახელო „სადედოფლო აზნაურს“ ღვთისავალ ყულიჯანაშვილს უბოძა „ყოვლის მისის სამართლიანის სარგოთი“. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ეს გვარი მანამდე ფლობდა ამ სახელოს.

1803 წლის საუფლისწულო მამულების აღწერის მიხედვით ალში დარეჯან დედოფალს 7 კომლი ემა გლეხი ჰყოლია, სულადობის მიხედვით - 27 მამაკაცი და 21 ქალი.

რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების შემდეგ ალი ხაზინის მფლობელობაში გადავიდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან თანდათან მოხდა მისი შევსება მოსახლეობით, უპირატესად, დასავლეთ საქართველოდან – ხარაგოულისა და საჩხერის რაიონებიდან გადმოსული მოსახლეობის ხარჯზე.

1865 წელს ალში 93 კომლი ცხოვრობდა (90 სახელმწიფო და 3 დროებით ვალდებული გლეხი).

1886 წელს აღწერით, აქ უკვე 199 კომლი მოსახლეა (618 კაცი და 485 ქალი, სულ 1103 კაცი). ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, ალში ქართველი იყო 161 კომლი, სომეხი - 45. ებრაელობა ამ დროს ალში უკვე აღარ ცხოვრობს.

ალში სახლობენ გვარები: აკოფოვი, ამირეჯიბი, ახალკაცი, ბაბასოვი, გაგნიძე, გარსევანოვი, გელაშვილი, გემიაშვილი, გეორქოვი, გიგუაშვილი, გოგალაძე, გოგნაძე, დევიდარიანი, დოლიაშვილი, ზურნაჯიანი, თევზაძე, თიბილაშვილი, კვიციანიძე, კიკაძე, კულიჯანაშვილი, კურტანიძე, ლაზარიანი, ლოლაძე, ლომიძე, მაისურაძე, მანაიძე, მაჭავარიანი, მახარობლიძე, მულაძე, მჭედლიძე, ნოზაძე, პაპუაშვილი, საყვარელიძე, სტეფანოვი, სუხიევი, სხილაძე, ტაბატაძე, ტაბაშიძე, ტყემალაძე, ფატარიძე, ფიდიშვილი, ქურდაძე, ღონდაძე, ყოჩიაშვილი, შალიბაშვილი, ჩიკვაიძე, ჩინჩალაძე, ჩობანიანი, ხარაზიშვილი, ხაჩიძე, ხერხეულიძე...

ალის სახელწოდება, ხალხური განმარტებით, მომდინარეობს ცეცხლის აღისაგან. სახელწოდება დაერქვა იმის გამო, რომ ეს ადგილი მხურვალეა, განსაკუთრებით ზაფხულში. ვახუშტი ბატონიშვილიც ამას აღნიშნავს ალის შესახებ, რომ ეს ადგილი „ზაფხულ ცხელი“ არის. არ არის გამორიცხული, რომ სახელწოდება სოფელს, მართლაც ამის გამო შეერქვა. „ალი“ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ცეცხლის ანაღენია. ალი, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით ცეცხლის მნათ ნაწილს ნიშნავს, რომელიც ჩნდება ცეცხლმოდებული საგნის თავზე.

მკვლევარი ჯ. ქიტიაშვილი ალს სამხრეთ საქართველოში მდებარე ცნობილ ალს უკავშირებს და წერს: „ალის წარმოშობა და მისი ქალაქად გადაქცევა უკავშირდება საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლას. ამ ბრძოლაში იმარჯვებს ტაო-კლარჯეთის ტახტის მემკვიდრე ბაგრატ III და წარმატებულად გამოდის ბრძოლაში „ქართლსა ზედა“. ხომ არ არის ამ ფაქტთან დაკავშირებული სამხრეთიდან მომდინარე მოსახლეობის ნაკადი. ხომ არ უკავშირდება ამ პროცესებს ისტორიული ე.წ. ბრილის ჯვარიც?“

ჯ. ქიტიაშვილს ტოპონიმი ალი სპარსულიდან შემოსულად მიანია და მის ახსნას სპარსულენოვანი მონაცემების საშუალებით ცდილობს. იგი სარწმუნო ფაქტად მიიჩნევს ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის შემდეგ ცნობას: „...მარცხნივ ჩამოვიტოვეთ ახალციხისაკენ მიმავალი გზა. შუადღისას ჩავდით ერთ პატარა ქალაქში, რომელსაც ალი ეწოდება. იგი მთებშია გაშენებული, გორიდან ცხრა ლივს დაშორებით. ამ ქალაქიდან ორი ლივ ვიწრო ხეობით ვიარეთ, რომელიც ხის კარიბჭით ბოლოვდება. ეს არის საქართველოსა და იმერეთის სამეფოს საზღვარი“.

შემდეგ მკვლევარი აღნიშნავს: „ე.ი. ალი მდებარეობს გორიდან ორმოცი ვერსის მანძილზე, ერთი ვიწრო გასასვლელის მთის წინ, რომელიც (ე.ი. გასასვლელი) იკეტება ხის კარით. აქედან გამომდინარე ალის მდებარეობა პირდაპირ არის დაკავშირებული ვიწრო გასასვლელის მქონე მთასთან, რომელსაც ხის კარი ჰქვია. აქ ალის გეოგრაფიული ადგილის გამსაზღვრელი ვიწრო გასასვლელიანი მთაა.“

რაც შეეხება ხის კარს. ეს ხის კარები, რომელიც მთელ ხეობას ჰკეტავდა, უნდა ყოფილიყო გრანდიოზული ზომისა და კარგად გამაგრებული. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ალის ციხე და ეს კარი დასავლეთ-აღმოსავლეთის საზღვარზე მდებარეობდა, საზღვარზე, რომლის ორივე მხარეს ოდითგანვე სხვადასხვა სახელმწიფოთა გავლენა იყო უმეტესად. გარდა ამისა, ალის ციხესა და ჭიშკარს უნდა შეეკავებინა დასავლეთ საქართველოდან შემოსული მტერი. გარდა ამისა, ალის ციხეში გამართული ყოფილა საბაჟო და ჭიშკრის საჭიროება აქედანაც უნდა სწანდეს.

გრანდიოზულ ხის კარს ქართულში ალყაფი ეწოდება, რაც სპარსულიდან მომდინარე სიტყვაა და ნიშნავს: ალი – დიდი, მაღალი, დიდებული, ჭაფუ – დიდი კარი, კარიბჭე.

გზა, რომელსაც ეს ჭიშკარი ჰკეტავდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი იყო უხსოვარი დროიდანვე. ალის ციხეზე დასახლება არსებობდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან მოყოლებული. მთელი ანტიკური და ფეოდალური ხანის მანძილზე აქ დასახლების კვალი ჩანს. ე.ი. არსებობს ციხე, არსებობს გზა და არაა გამორიცხული, რომ ალის ჭიშკარსაც დიდი ხნის ისტორია ჰქონდეს.

ალი XII საუკუნეში წარმოშობილი ქალაქია. ალის ციხის დასახლება და შესაძლოა, ჭიშკარიც კი XII საუკუნეზე ადრე გაჩენილიყო.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)



ხაშურის სასპორტო სკოლის აღზრდილმა, ძიუდოში საქართველოს ნაკრების წევრმა თემურ ნოზაძემ, ამ დღეებში, პარიზში გამართულ ძიუდოსტა უმნიშვნელოვანეს ტურნირზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. პარიზის ტურნირი, თავისი მასშტაბით, მსოფლიო ჩემპიონატსაც კი უტოლდება და, აქედან გამომდინარე, მესამე ადგილი მართლაც დიდი მიღწევაა. მან მხოლოდ მერვედფინალური შეხვედრა დათმო მოლდოველ სპორტსმენტთან. შემდეგ კი, რეპეშაჟში, უპრობლემოდ მოუგო რუს, უკრაინელ და თურქ ძიუდოსტებს. ვულოცავთ თემურს ამ გამარჯვებას. მან უკვე მყარად დაიმკვიდრა ადგილი საქართველოს ნაკრებში და იმედია, კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს თავისი მიღწევებით.

**-ძიუდო-
თემურ ნოზაძე-ბრინჯაო პარიზის „გრან-პრი“-დან**



ახალი ლექსები

მანანა ხრიკაძის შემოქმედებას ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან არაერთხელ გაცნობია მკითხველი. ამ რამდენიმე თვის წინ, მისი ახალი წიგნის პრეზენტაცია მოაწყო გაზეთმა. ამჟამად პოეტი ახალ კრებულზე მუშაობს, რომელიც მთლიანად საბავშვო პოეზიას დაეთმობა. დღეს მის ოთხ ლექსს გთავაზობთ ამ კრებულიდან.

მხედრული

აბა ჰე! ჩემო მერანო,
ჩემო უხედნო ურაო,
ყოჩაღად ვზივარ შენს ზურგზე,
მარჯვე და მამაცურაო.
მიგქრვივარ ხმალშემართული,
ბედ-იღბალს გაუფუჯინდები,
ისე გულადი ბიჭი ვარ,
არავის შეუუშინდები.
დუშმანს მივეყვები კვალდაკვალ,

მიფრინავს ჩემი რაშია,
რად გადმობრუნდი მამიკო,
ჯერ ხომ არ გვითამაშია?

მელაკუდა

შენ ეი! მელა, მელაო,
ქათმების მუსუსელაო,
ნიკუშას რატომ მოპარე,
თავქონორა და ჭრელაო?
გაგიგო მისმა მამიკომ,
მტრად მოგიკიდათ ყველაო,
ჰოდა, მიტომაც გაგხადეს,
მურიას სათრეველაო.

ფისუნია

მოდი, ჩემო ფისუნია,
მშვიდად მოვითათბიროთ,
გავარჩიოთ საქმეები,
სასწრაფო და საჭირო.
მე უშენოდ, ჩემო კარგო,
ვერ მივირთვი ტკბილები,
ლამის პირში ჩამიძვერი,
მიკრიჭინე კბილები.
კანფეტს შევჭამ - მიიაა!

ნამცხვარს შევჭამ - მეეო!
გოზინავს თუ შევამცხვეო,
ეე! დამითმეო.
გუშინ თურმე ინადირე,
მინდორ-მინდორ იარე,
შენ რომ თავგებს მიირთმევი,
ჯამში ჩაგეზიარე?

დედულეთი

ჰერიო, ბიჭო, სოფლისკენ,
გზა მოსწანს თვალწარმტაციო,
ურმით შემხვდება ბაბუა,
მოჭირნახულე კაციო.
იქვე ჭიშკართან მელიან,
ჩემი რჩოლია ვაციო,
მურია, ეხოს დარაჯი,
ერთგული და მამაციო.
ოჯახში ფისო იკნაველებს,
კრუტუნა და ზარმაციო,
ბებოს კი გაუკვირდება,
„ვინ მოდის ეს ვაჟკაციო?“



**- იუმორი
ქართლში მოძიებუდი ბედ-
მეფსახედები**

შერქმეული ზედმეტსახელები, რომლებშიც მთელი შინაარსი იკითხება, ამ რამდენიმე წლის წინ გამოჩნდა სოციალურ ქსელში. თემა იმდენად პოპულარული გახდა, რომ ათიათასობით ნახვა დააგროვა. ეს ზედმეტსახელები (თიკუნები), ძირითადად, კახეთის სოფლებში იყო მოძიებული. ჩვენ შევეცადეთ, როგორც ჩვენს მუნიციპალიტეტში, ასევე შიდა ქართლის მასშტაბით მოგვეძიო მსგავსი იუმორის მატარებელი ზედმეტსახელები, რომლებიც თავისი შინაარსით, არაფრით ჩამოუვარდება კახურებს და ვფიქრობთ, ამაში ჩვენი მკითხველიც დარწმუნდება:

მალფუჭებადი ვასო - თვეში ორჯერ-სამჯერ გაცივებულია და სულ ექიმებთან დარბის.

მიშენია კაკო - სამამულო ომიდან დაბრუნდა, 29 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი და გადარჩა.

ბაშიაჩუკა ბიგენტი - ტყუილი დები ჰყავდა და ორივე თურქეთში გათხოვდა.

სინოპტიკოსა ბადრი - რევატიზმები აქვს და თუ სახსრებმა „მტკრევა“ დაუწყო, შეუცდომლად ხვდება წვიმის დაწყებას.

ციანიდა ლამარა - შხამიანი ენა აქვს.

სწრაფი გელა - შვიდთვიანი დაიბადა.

ნიაგარა ბავლე - ყოველ დაღვეზე გული ერევა და ჩანქერივით იღებს უკან.

მწყერი იოსება - სიმადლის შიში აქვს და ხეზე არასდროს ასულა.

გუგული კობა - რუსეთის სამ სხვადასხვა ქალაქში, სამ ქალთან სამი შვილი

ჰყავს, საქართველოში კი საკუთარ ცოლთან, შვილი არ შეეძინა.

ბორჯომა ლევანა - გაზეთი უგროვდება გამუდმებით.

ორასოცა ჯუმბერი - “მანტიორია”.

ჟიგულა რეზო - 6 შვილი ჰყავს-“ნოლადინიდან-ნოლშესტამდე”.

სარეველა სოსო - ნული სარეველია მისგან.

ამირანი ზაზა - რომ დაღვეს, გიუდება და ჯაჭვით აბამენ.

დეუდემონა მანანა - ქმარი ახრჩობდა და მეზობლებმა გამოწიწკნეს ხელიდან.

სამსართულიანი გუჯა - მეტრი და ხუთი სანტიმეტრია სიმადლეში.

კარლსონი ნოდარა - მეხუთე სართულიდან გადმოვარდა და გადარჩა.

ქორი პაატა - მეზობელს 40 წიწილა მოპარა და გაყიდა.

ფიფქია ლერი - ნახშირით შავია

უშგულა ტარიელი - სოფლის ბოლოს, მთისწვერზე აქვს სახლი.

გახსლული პეტრე - ცალი თვალი, ცალი თირკმელი და ცალი ფილტვი არ აქვს.

ურქო შალიკო - მთელმა სოფელმა იცის, რომ ცოლი დალატობს, მაგრამ რქები მაინც არ ამოსდის.

ამხანაგი თაზო - დღემდე კომუნისტებს მისტირის.

ოჯახის პატიოსნება ზურაბა - ცოლი და ორი გოგო მსუბუქი ყოფაქცევის ჰყავს.

შაშ აბასა გურგენა - ვენახი გაჩეხა და თხილი გააშენა.

იაზონი გოგია - ფოთელი გოგო მოიტაცა და ცოლად შეერთო-მედიკო.

ნობელი ვასო - მეთევზე ბრაკონიერია და ორჯერ აუფეთქდა დინამიტი ხელში.

D განცხადება
შევისყიდი კაკლის ხეებს. ამასთანავე, შეგვეთით, შეგვიძლია გაგისხლათ (გადაგიბელოთ) ხეები. ტელ: 551 - 16 - 19 - 84, დათო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია (თავმჯდომარე ინეზა ელისაშვილი), სამხმარს უცხადებს დალი, ზურაბ და გია ტაბატაძეებს მამის, დამსახურებული პედაგოგის პავლე ტაბატაძის გარდაცვალების გამო. **D**

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუსიაშვილი.